საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №50/271-18-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ

-- -- გენერალური დირექტორის -- -- 2018 წლის 25 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 მარტის №50/271-18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, ორ იდენტურ შემთხვევაზე (საჩივრის დადგენილი ვადის დარღვევით წარადგინა სასამართლოში) -- სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული განჩინება აქვს მიღებული. საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ ერთგვაროვან შემთხვევებში არაერთგვაროვან, განსხვავებულ მიდგომაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმე №--

2018 წლის 26 თებერვალს -- -- სამსახურიდან -- -- სასამართლოში განსახილველად შევიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე -- -- მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 79^2 მუხლებით, რომლის მიხედვით 2017 წლის 06 დეკემბერს -- --ზე მომხდარი ხანძრის დროს -- -- დარღვეული ჰქონდა -- --, -- -- დასახლებაში განთავსებული -- -- -- -- 2017 წლის 16 ნოემბერს გაცემული №-- გარემოზე ზემოქმედების ნებართვით (-- -- №-- -- ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობები, რითაც გამოიწვია -- -- დაბინძურება. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა --.-- ლარი.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 05 მარტის განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმეზე დაინიშნა -- -- ექსპერტიზა; ექსპერტიზის ჩატარება დაევალა სსიპ -- -- -- --.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 31 მაისს საქმეზე ჩატარდა სხდომა და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2018 წლის 01 ივნისს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებით -- -- (ს/კ --, მისამართი: --, -- -- №--), ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 79^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და საბოლოოდ ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2 მუხლით, ჯარიმა - 5,000 (ხუთი ათასი) ლარი; -- -- (ს/კ --) დაეკისრა -- -- ზიანის ანაზღაურება -- ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განემარტა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადება არ ათავისუფლებს მას იმ მოვალეობის შესრულებისაგან, რომლის შეუსრულებლობისათვისაც მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი.

მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტის თანახმად -- -- დადგენილება გაეგზავნა 2018 წლის 04 ივნისს, ხოლო საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის შესაბამისად, კორესპოდენციის გაგზავნის თარიღად მითითებულია 19 ივნისი, რომელიც ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაბარდა 20 ივნისს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებაზე -- -- საჩივარი წარადგინა 2018 წლის 27 ივნისს, რომლითაც მოითხოვა დადგენილების გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენა, იმ საფუძვლით, რომ მოსამართლემ საქმის განხილვისთანავე არ გამოაცხადა დადგენილება და დადგენილების ასლი ნაცვლად სამი დღისა, ჩააბარა 20 დღის შემდგომ. საჩივრის ავტორმა, ასევე მოითხოვა გასაჩივრებული დადგენილების ნაწილობრივ გაუქმება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის დადგენილებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებაზე დარჩა განუხილველი.

2.2. საქმე №--

2017 წლის 03 აპრილს -- -- სასამართლოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის -- -- სამმართველოს მიერ წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №-- ოქმი და თანდართული მასალები -- -- მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის დადგენილებით -- -- მიმართ წარმოებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება შეწყდა; -- -- საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 40-ე მუხლის შესაბამისად დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანი -- ლარის ოდენობით.

დადგენილება მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 21 აპრილს და ჩაბარდათ 24 აპრილს. -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2017 წლის 15 აპრილს, რომელიც ფოსტას ჩაბარდა 17 აპრილს, ხოლო -- -- სასამართლოში ჩაბარდა 19 აპრილს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით (მოსამართლე -- --) -- -- სამმართველოს საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის დადგენილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 მარტის დასკვნა:

-- -- გენერალური დირექტორის -- -- 2018 წლის 25 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1

მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად (2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია), დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას.[1]

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.[2]

სასამართლოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც უზრუნველყოფილია მოსამართლის მიუკერძოებლობა. შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს ყველა მოქალაქის (და ხელისუფლების სხვა შტოების) სასამართლოს წინაშე თანასწორობის გარანტიის წინაპირობას.[3]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულება არის „მიუკერძოებლობა“,

---

[1] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, GIZ, თბილისი 2015, გვ. 98 §67

[2] „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა 3 (2002), §24

[3] „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა 3 (2002), § 9

რომლის თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ამ პრინციპის გამოყენების 2.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ აღიქმება ეს საკითხები. სასწორზე ხომ ის ნდობა დევს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ყოველ წევრს, ბრალდებულების ჩათვლით, უნდა ჰქონდეს სასამართლოსადმი.[4]

მიუკერძოებლობის განცდის არსებობა აუცილებელია სასამართლოსადმი მხარეთა ნდობის გამტკიცებისათვის. ნდობის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული ნორმის შეფარდებისას.

აღსანიშნავია, რომ სამართლის შეფარდების პროცესში არსებობს სხვადასხვა მოსამართლის მიერ კანონის მოთხოვნის განსხვავებულად განმარტების შესაძლებლობა. შესაბამისად, ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს მიერ ამა თუ იმ ნორმის შინაარსთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი განმარტებები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაში ბუნდოვანი ხდება ნორმატიული აქტის შინაარსი, სხვაგვარად, პირისთვის გაუგებარია, რას მოითხოვს მისგან კანონი. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს. „ცხადია, რომ კანონის განმარტების ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფა, პირველ რიგში, კანონის ბუნდოვანების და მისი არაერთგვაროვანი გამოყენების პრევენციისთვის არის გამიზნული, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვას ემსახურება“.[5]

კანონის გამოყენების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოო ჯამში, თავიდან იქნეს აცილებული კანონის ბუნდოვანება და უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორუფლებიანობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.[6]

შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტის შესახებ კანონის დანაწესის სასამართლოს მიერ ერთგვაროვანი განმარტება გასაჩივრების უფლების რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

---

[4] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 91, §53

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება

მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული მიდგომა კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. საქმეზე Tudor Tudor v. Romania, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეროვნული კანონმდებლობის განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა. მითითებული გადაწყვეტილებიდან საგულისხმო სწორედ ის არის, რომ მასში ხაზი გაესვა პრეცედენტული სამართლის (case law) კონფლიქტს კანონის ნორმის განსაზღვრულობის (ინტერპრეტაცია) საკითხში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას, და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება)[7]. სასამართლომ გადაწყვეტილებაში სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დაასახელა სამართლებრივი სტაბილურობის inter alia გარანტად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ.[8]

სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა აუცილებელია სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებისა და მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის გამოსარიცხად.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ -- -- სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის დადგენილებაზე საჩივარი -- -- სამმართველომ წარადგინა 2017 წლის 15 აპრილს, რომელიც ფოსტას ჩაბარდა 18 აპრილს, ხოლო -- -- სასამართლოში შევიდა 19 აპრილს (კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლიდან 1 დღის შემდეგ). აღნიშნულ საჩივარზე -- სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით არსებითად იმსჯელა.

ხოლო -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 04 ივნისს, ხოლო საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის შესაბამისად, კორესპოდენციის გაგზავნის თარიღად მითითებულია 19 ივნისი, რომელიც ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაბარდა 20 ივნისს. ამდენად, ნაცვლად დადგენილი 3 დღისა მხარეს დადგენილება ჩაბარდა 16 დღის შემდეგ. აღნიშნული დადგენილებაზე საჩივარი -- სააპელაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი იდენტური შემთხვევა, როდესაც დადგენილებაზე საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით იქნა სასამართლოში წარდგენილი (ერთ შემთხვევაში 1 დღის დაგვიანებით, ხოლო მეორე შემთხვევაში 16 დღის), თუმცა ერთ შემთხვევაში მოსამართლემ არსებითად იმსჯელა საჩივარზე, ხოლო მეორე შემთხვევაში დაუშვებლად ცნო იგი.

მნიშვნელოვანია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 268-ე მუხლის დანაწესი განსხვავებულად განმარტა და გამოიყენა. კანონის გამოყენების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია კანონის ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად და მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. სამართლიანი სასამართლო განხილვის არსებით ასპექტს წარმოადგენს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რაც გულისხმობს საქმის წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობას ორივე მხარისათვის. შესაბამისად სახეზეა მოსამართლის მიერ თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის შესაძლო დარღვევა, რაც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

---

[7] Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey, Application no. 13279/05, 21.10.2011, §§59-96

[8] Albu and others v. Romania, Applications no. 34796/09, 10.05.2012; §34 (V)

ამდენად, სახეზეა მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75[7] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] პირველი პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარში მითითებული ინფორმაციის სრულყოფილი შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შეაფასა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობა და 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, თორმეტი წევრის გადაწყვეტილებით (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 12 ხმით), მიიჩნია, რომ, მოსამართლე -- -- მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, რის გამოც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევა გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტებთან მიმართებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამავე კანონის 75[8] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახსნა-განმარტების მიცემა წარმოადგენს მოსამართლის უფლებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75[8] მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყოს დისციპლინური დევნა და ჩამოერთვას ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი